# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 221 ოთხშაბათი, 7 ოქტომბერი 1909 წ. № 221

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს არ ინახავენ. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



**ბარბარე იოსების ასული ვოლსკისა, ვლადიმერ იოსების ძე ვოლსკი და ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—ძმისა, ხოლო უკანასკნელნი—მამიდაშვილის

## გრიგოლ იოსების ძის ვოლსკისას.

გამოსვენება ბინიდან (ტეხნიჩესკი ქ., № 10, პასტერის ინსტიტუტის მახლობლად), ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს, დილის 9 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ხოლო იქიდან, წირვა-პანაშვიდის შემდეგ, კუკიის წმ. ნინოს მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე. (1—1)

**გაბრიელ, ზაქარია, სალომე, მარიამ, დიმიტრი, სტეფანე, ნინო, გიორგი, ვლადიმერ, სვიმონ და ნიკოლოზ ალექსის ძენი და ასულნი ბრაგვაძეები** სიძეებითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ მამის

## ალექსი გაბრიელის ძის ბრაგვაძისას.

დაკრძალვა სოფ. ურიათუბანში (თელავის მაზრა) ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს. (1—480—1)

**ივანე და ნიკოლოზ ანდრიას ძენი და ანნა ანდრიას ასული ყიფშიძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას უძვირფასესის დედისა

## აღათია (ანო) ალექსის ასულის ყიფშიძისას.

პანაშვიდი დილის 12-ს და საღამოს 6 საათზე. გამოსვენება სახლიდან (თუმანოვის ქუჩა, № 16. სახ. მდივანოვისა) ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს, დილის 9 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე, სადაც გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. (2—492—1)

ძმანი: **ზაქარია, მღვდელი იოანე და დავითი ალექსის ძენი დავითაშვილები**; დანი: **ბარბარე მოზდოკელისა, მაკრინე ხორბალაძისა და ანასტასია გოგოხიასი ქმრით ბესარიონ დავითის ძე გოგოხიათი** და რძალნი: **ოლღა იოსების ასული, მარია სიმონისა, მარია ნიკოლოზისა და პელაგია მიხეილის ასული დავითაშვილებისანი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებას პირველნი—დისა და უკანასკნელნი—მულისა და ცოლის დისა

## აღათია (ანო) ალექსის ასულის ყიფშიძისას.

პანაშვიდი დილის 12 ს. და საღამოს 6 საათზე. გამოსვენება სახლიდან (თუმანოვის ქ. № 16, სახლი მდივანოვისა) ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს, დილის 9 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე, სადაც გადახდილ იქნება წირვა-პანაშვიდით. (2—492—1)

**წარმოდგენა № 4.** ქართული თეატრი **წარმოდგენა № 4**

**ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს, 1909 წელს**

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა გ. ზაპოლსკაიასი.

## ფარისეველი ‖ დამბაჩა და რევოლვერი

ტრაგი-ფარსი 3 მოქმ. თარ. ვ. აბაშიძისა. | ვოდ. 1 მოქმედ. კ. ნასიძისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი. ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ი. ივანიძე, გ. მესხი, ვ. ურუშაძე, ი. ზარდალიშვილი

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „აი გიდი მეგობრებო“, „ლალატი“.

მორიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., და შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ, ოთხშ. და პარას. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ,, ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გირდა პარას. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—11 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ, ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—5)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—$2^1/_2$ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—173)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—22)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი** ხუთ ოქტომბრიდან განაახლებს ავადმყოფების მიღებას. (0—კვ.—76)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ს. ვაშაყმაძე** აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავადმყოფებს იღებს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, ს. N 15. (25—ნ.—24)

## შავი-ქვის

მრეწველთა სამმარ კრების თავმჯდომარის, სამთო-მადნო მე-12 თველოს უფროსის თანაშემწის, დ. ს. ს. მარიან ივანეს ძე ჩენგერის წინადადებით, მრეწველთა საბჭო ამით აცხადებს, რომ მდგომარე 1909 წლის 30 ოქტომბრისთვის ქალაქ ქუთაისში დანიშნულია

## მე-12 მორიგი კრება შორაპნის მაზრის შავი-ქვის მრეწველებისა.

**განსახილველია შემდეგი საკითხები:**

1. არჩევანი კრების მდივნისა.
2. განხილვა საბჭოს და კომისიის ანგარიშებისა.
3. განხილვა სტატისტიკურ ცნობებისა.
4. განხილვა დებულებისა კრებების შესახებ.
5. სათადარიგო თანხის შექმნა კრების საჭიროებათათვის.
6. გადათვალიერება იმ პირობებისა, რომლითაც ჯილდო ეძლევათ უბედურ შემთხვევათაგან დაშავებულ მუშებს.
7. შავი-ქვის ტარიფის დაკლება ჭიათურის შტოზე.
8. კრებების საჭიროებათათვის საფუთო გადასახადის გადიდება.

(3—ნ.—3)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი** არჩენს სპეც. თირკმ., საშ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—16)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—17)

**ექიმი მ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩაგდება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზოვრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—265)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის** ელექტრო-თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—24)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა** მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტეორ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—22)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—30)

**ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნი, N 9. (უ)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—12)

**ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში** 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს .საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—82)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—75.

**ნაფიცი ვექილი**

## სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

**ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში** (ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი **№ 11**, სასტუმრო „**ლონდონის**“ ახლოს). (25—ნ.—24)

**ქართველ ქალთა ამხანაგობის**

## სამკერვალოში

მიიღებენ კაბებს ქალებისას და ბავშვებისას შესაკერად ძალიან იაფად, ყველასათვის ხელ მისაწვდენ ფასად.

ადრესი: ვერა, გაბაანთ ქუჩა, № 3, ზარი მესამე. დილიდან 3 საათამდე. (5—უ.—3)


## შიმშილი დასავლეთ საქართველოში

(წერილი ქუთაისიდან)

არავისთვის საეჭვო არ იყო, რომ წარსულ ზაფხულის გვალვები მოსავალზე გავლენას იქონიებდნენ. კერძო ცნობები, რომელიც სოფლიდან მოდიოდა, აშკარასა ჰყოფდა, რომ ხალხი მოუსავლობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდის, მაგრამ იმან, რაც გამოირკვა მეურნეთა ერთ კრებაზე ქუთაისში, ცხადად დაამტკიცა, რომ სასტიკი შიმშილი მოელის ხალხს დასავლეთ საქართველოში.

2 ოქტომბრის სხდომაზე ერთმა წევრმა მეურნეთა კრებისამ აღძრა საკითხი მოსავლის შესახებ და ის აზრი გამოსთქვა, რომ ვისარგებლოთ იმ გარემოებით, რომ კრებაზე გუბერნიის ყველა კუთხიდან არიან მოსულნი და მათდამი შეკითხვით გავიგოთ, რამდენად მართალია ხმები წრევანდელ მოუსავლობის შესახებაო. კრების წევრთა შორის აღმოჩნდნენ სოფლის მეურნენი გუბერნიის ყველა კუთხიდან და შეკითხვამ გამოარკვია შემდეგი: გარდა ქაობ და იმ ადგილებისა, რომელიც ირწყვება (რიონისა და ჯიხაიშის რაიონებში), მოსავალი იმდენად მცირეა, რომ ხალხს იგი 2—3 თვეს თუ ეყოფა. განსაკუთრებით დაზარალებულან მცხოვრებნი მთა ადგილებისა, სადაც არა თუ სიმინდი, ჩალაც-კი არ მიუღიათ თურმე. შორაპნის მაზრაში, მაგალითად, მთა ადგილების მცხოვრებნი ეხლავე ყიდულობენ თურმე სიმინდს. ამ ნაირივე მდგომარეობაა თურმე ქუთაისის მაზრის მთა ადგილებში. ხალხის სამყოფი მოსავალი მოსულა გურიისა და სამეგრელოს ვაკე ადგილებში, ხოლო სხვაგან ისეთივე მდგომარეობაა, როგორც შორაპნის მაზრაში. რაჭალეჩხუმს ჩვეულობრივ წელიწადშიაც არა ჰყოფნის მოსავალი, წრეულს ხომ სათქმელადაც არა ღირს. ბევრ ადგილას მოსავალი იმდენად ცუდი და მორჩილი ტანისა იყო, რომ ალაგობრივ შეაჭამეს საქონელს. რამდენადაც ხალხის გამოკვება საფიქრებელი, იმდენად საქონლისა, რომლისთვისაც სრულებით არ მოსულა საკვები. ბევრი თურმე ეხლავე ყიდის საქონელს იმის შიშით, რომ ზამთარში შიმშილით დაეხოცება.

წარსულ ზაფხულის გვალვებს მეურნეობის სხვა დარგზედაც ჰქონია გავლენა. ღვინო შარშანდელის მესამედიც კი არ მოსულა. ასევე დაზარალებულა ბოსტნეულობა და ხილეულობა. ექიმმა ნასარიძემ განაცხადა, რომ ქვიტირში, ოფიშქვეთსა და სხვა მახლობელ სოფლებში, სადაც ბოსტნეულობისა და ნაადრევ ხილის მოყვანას მისდევენ, ხალხი მშრალზე დარჩა, რადგან გაზაფხულის სიცივეებმა და მერე გვალვამ მთლად გაანადგურა მოსავალიო. ამავე ადგილებში სიმინდს არავითარი მოსავალი არ მოუცია. გარდა ამისა, ახალ მოსავლის სიმინდს ეხლავე გასჩენია პეპელა. აქამდისაო,—სთქვეს სამტრედიის მხრიდან მოსულებმა,—ხალხი ხილით იკვებებოდა, ხოლო ეხლა, როცა ხილი მოილია, ძნელი წარმოსადგენია, რით გამოიკვებავს ხალხი თავსაო. ჩოხატაური და მთელი გურიის მთა ადგილები ეხლავე შიმშილს განიცდიანო,—სთქვეს გურიიდან მოსულებმა. იგივე სთქვა სამურზაყანოსა და სოხუმის ოლქიდან მოსულმა ხალხმა. სამყოფი სიმინდი მოვიდაო,—განაცხადეს კრებაზე,—იქ, სადაც წინად მოსავალი არ მოდიოდა, ე. ი. ჭაობიან ადგილებში.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მაზრის უფროსები მაინც გაიძახიან, რომ მოსავალი ისეთი იყო, რომ ხალხი თავს გამოიკვებავსო. ასეთია ოზურგეთის მაზრის უფროსის ცნობა, რომელიც გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტს მოსვლია. აი, შინაარსი ამ ცნობისა: „შესაფერ პირობებისა და, სხვათა შორის, იმის გამო, რომ ადგილები ხელოვნურად ირწყვის, წარსულ ივლისის გვალვებმა არა სასურველად არ იმოქმედეს ხალხის ეკონომიურ მდგომარეობაზე. მოსავალი სიმინდისა, უკანასკნელად მოსულ წვიმების წყალობით, შედარებით კარგია, გარდა ჩოხატაურის საბოქაულოს მთიან ადგილებისა, მაგრამ ხალხი მაინც შესძლებს სიმინდის შეძენას, რადგან ყურძნის მოსავალი კარგია და, გარდა ამისა, კარგია აბრეშუმის მოსავალიც, რომელიც კარგ მაზანდაზედაც იყიდება“. ასეთია ბ-ნ ოზურგეთის მაზრის უფროსის ცნობა.

სულ წინააღმდეგს ამბობს შორაპნის მაზრის უფროსი: მის მოწმობით „გვალვამ იმდენად ძლიერად იმოქმედა წლევანდელ მოსავალზე, რომ ხალხს 3-4 თვეს ვერ ეყოფა წრევანდელი სიმინდი“.

როგორც გავიგეთ, სხვა მაზრის უფროსების ცნობები უფრო ეთანხმება ნამდვილ გარემოებას საქმისას. ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში, როგორც კრებაზე განაცხადეს, ექვს სოფლის საზოგადოებაში მოსულა იმდენი სიმინდი რომ ხალხის საჭიროებას დააკმაყოფილებს, სხვა საზოგადოებებში ყველგან ნაკლები მოსავალი ყოფილა.

ასეთია ხალხის მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში. მეურნეთა კრებამ ამ საგანზე მსჯელობა იქონია და შემდეგ გადაწყვეტილებას დაადგა:

1. ეთხოვოს კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციას, რომ საიმპერიო საკვებ თანხიდან გადაიდოს ფული ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

2. დაწესდეს ქუთაისის გუბერნიაში შემოსატან სიმინდისა და ხორბლეულობისათვის ნაკლები ტარიფი.

ა. განთავისუფლდეს ხალხი ყოველ ნაირ გადასახადისა და ნედოიმკისაგან,

4. მიეცეთ შორაპნისა და ქუთაისის მაზრების მცხოვრებთ სათესლე პური, რომ პურის დათესვით დაიახლოვოს მოსავალი 2-3 თვით.

5. გაუგზავნოს ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენელს სახელმწიფო სათათბიროში ცნობები მოსავლის შესახებ, რომ მან მხარი დაუჭიროს სათათბიროში ფულის გაღებას ქუთაისის გუბერნიის საჭიროებისათვის.

ყველა ეს კარგია, მაგრამ საფიქრებელი ის არის—ვინ გაატარებს ამ სურვილებს ცხოვრებაში, როცა არ მოგვეპოვება ისეთი საზოგადოებრივი დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს ამ საქმის გაძღოლა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„რეჩ“-ში ნიკ. დუბროვსკის ცხარე წერილია დაბეჭდილი. ავტორი გულმტკივნეულად ეხება პოლონურ სკოლების დევნას და სწავლა-განათლების გამავრცელებელ საზოგადოებათა დახურვას. ავტორი სწერს:

პეტერბურგსა და კიევში პოლონელებს აუკრძალეს არჩევნების წინასწარ კრებებზე პოლონურად ლაპარაკი. კიევში დაჰკეტეს პოლონელების განმანათლებელი საზოგადოება „ოსვიატა“. ვარშავაში პროტესტანტების ერთ-კლასიანსა და ორ-კლასიან სკოლებში აკრძალეს არა მარტო პოლონურ ენაზე სწავლება საგნებისა, არამედ თვით პოლონური ენის სწავლებაც კი, როგორც საგნისა. დახურეს კიევის „კათოლიკეთა კავშირის“ (პოლონელთა) ყველა სასწავლებელი. ზომებია მიღებული, რომ პოლონურ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი, რომელნიც მოისურვებენ სახაზინო სასწავლებლებში უფლების შესაძენად ექსტერნებად ეგზამენების დაჭერას, „სამართლიანად“ იქმნენ გამოცდილნი. ექსტერნს საზოგადოდ გზას არ აძლევენ. შვარცის (განათლების მინისტრის) ერთმა წარმომადგენელმა კიდეც განაცხადა: „ვინ ეხვეწებათ, ნუ მოდიან გამოსაცდელადაო“...

ავტორს კიდევ სხვა მაგალითებიც მოჰყავს. ნათლად გვისურათებს, თუ როგორა სდევნის ბიუროკრატია პოლონურ სკოლას და ენას. მოჰყავს აგრეთვე მთავრობის მოსაზრება, რომელიც სარჩულად დაედო კიევის საზოგადოების, „ოსვიატას“ დახურვას. მთავრობის ოფიციალურ საბუთში ნათქვამია:

საზოგადოება იხურებოდა იმიტომ, რომ იგი შემდეგში ნაციონალისტურ საზოგადოებად გადაიქცევა, მაშასადამე მავნებელი გახდება რუსს მცხოვრებთათვის, რომელთაც პოლონელები აპოლონელებენ. აგრეთვე იმიტომ, რომ მთავრობის მიზანია, სამხრეთ-დასავლეთ მხარეში გარუსების პოლიტიკა აწარმოს.

აი, რისთვის ხურავენ საზოგადოებას! საზოგადოება შემდეგში რუსიფიკაციას წინ გადაეღობებაო. დუბროვსკის მოჰყავს პოლონურ გაზეთის „გოლოს ვარშავსკას“ აღშფოთება „ოსვიატას“ დაკეტვის გამო:

პირველად განზრახ შეთხზულ ინსინუაციად მიგვაჩნდა ის, რომ მთავრობა, უდიდესი სახელმწიფო დაწესებულება, თავის დადგენილებას წინასწარმეტყველობაზე ამყარებდა. მაგრამ ეხლა ეს ინსინუაცია კი არა, სიმართლეა, როგორც თითონ მთავრობაც აცხადებს“. მეორე პოლონური გაზეთი „გენიკ კიევ.“-ი დაცინვით ამბობს: „რადგან კიევის გუბერნიაში რუსი და მართლმადიდებელი 4,429,468 სულია, ხოლო პოლონელი 128,000 სული, ამიტომ „ოსვიტას“ რაღაც ზღაპრული საშუალება უნდა ეხმარა, რომ რუსი „მცხოვრებნი გაეპოლონელებინათ“. სამწუხაროა და სავალალო პოლონების მდგომარეობა. ნაღველით მოცული, დაკოდილი იგი ახალ იერიშებს მოელის. ამ იერიშებს მძლე განიცდის. მაგრამ იდღესასწაულებენ კი პოლონეთის გარუსებას გამარჯვებულნი? ეროვნულ გრძნობით გამსჭვალული, შინაურ ძალთა სიცხოველით აღჭურვილი, დიად წარსულის მქონე და ძლიერ კულტურაზე დამყარებული პოლონეთი კვლავ განვითარდება, წინ წავა და იბრძოლებს თავისუფლებისთვის, რომელიც ასე საჭიროა მისთვის.

ასე ათავებს დუბროვსკი. რა დიდი ისტორია აქვს გარუსების პოლიტიკას პოლონეთში, რა სასტიკი იყო ეს პოლიტიკა, რა ფანატიკოსობამდის მიდიოდნენ რუსეთის „განმანათლებელნი“, მაგრამ—ოი საშინელებავ! სამშობლოს სიყვარული მაინც ვერ აღმოფხვრეს პოლონელ ხალხის გულიდან! იქ, სადაც ძლიერია ეროვნული შეგნება, სადაც დიდია სამშობლოს კულტურისადმი სიყვარული, ვერავითარი სისასტიკე საბოლოო გამარჯვებას ვერ იდღესასწაულებს. ვერაგობა ისტორიას გადაეცემა, ხოლო გამარჯვება იმ ერს, რომლის გადაგვარებისათვისაც საშუალებას არა ზოგავდნენ.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
6 ოქტომბერი

### საზღვარ-გარედ.

**მადრიდი.** ოდონ-დობუენმა სენატში განაცხადა, ესპანიის მთავრობას შეძლება ჰქონდა თავიდან აეცილებინა ის შეურაცყოფა, რომელიც მას საზღვარ-გარეთ მიაყენესო. ოდონ-დობუენს პასუხი გასცა ალლენ-დე-სალაზარმა. მან სთქვა, იმათ, ვინც საზღვარ-გარეთ ესპანიის საწინაამდეგო დემონსტრაცია მოახდინეს ესპანიის კანონებისა არა იციან-რაო.

ბარსელონის სასამართლოს პროკურორმა სენატში შუამდგომლობა აღძრა, ნება მომეცით, სამართალში მივცე რესპუბლიკანელი სენატორი სოლვიორ პეგაო. სოლვიორ პეგას აბრალებენ, რომ ბარსელონის აჯანყების დროს ხალხს ურჩევდა სასწავლებელს და იეზუიტების სახლს ცეცხლი წაუკიდეთო.

**პარიჟი.** ხალხმა დემონსტრაცია მოახდინა. დემონსტრანტები ცხენოსანმა ჯარმა გაჰფანტა. ტიულიერიის ბაღში დემონსტრანტებს მღვდლის მოკვლა უნდოდათ. მღვდელი გადაარჩინა ცხენოსანმა ჯარმა. სხვა და სხვა ქალაქებიდან იუწყებიან, მცხოვრებლებმა დემონსტრაცია მოახდინეს და პროტესტი განაცხადეს ფერერის სიკვდილით დასჯის გამოო. ზოგიერთ ქალაქებში პოლიციას და დემონსტრანტებს შეტაკება მოსვლიათ.

**ბრიუსსელი.** შუადღისას 400 სოციალისტმა და თავისუფალმა მოაზრემ დემონსტრატიულად ქუჩებში გაიარეს. მოხდა დიდი მიტინგი. წესიერება არ დარღვეულა.

**ლიეჟი.** მცხოვრებლებმა დემონსტრაცია მოახდინეს. დემონსტრანტებმა ორი მონასტრის ფანჯრები ჩაამტვრიეს. ამას გარდა დემონსტრანტებმა ეკლესიაში საკურთხეველი დაანგრიეს.

**ბერლინი.** დღისით მოხდა სამი კრება. კრებები სოციალ-დემოკრატებმა მოიწვიეს. კრებებს აუარებელი ხალხი დაესწრო. ერთ კრებაზე ესპანიის წინააღმდეგ სიტყვა წარმოსთქვა რეიხსტაგის დეპუტატმა ფიშერმა. კრებებზე რეზოლიუციები მიიღეს, პროტესტს აცხადებენ ფერერის სიკვდილით დასჯის გამო. წესიერება არც ერთ კრებაზე არ დარღვეულა. კრებების შემდეგ ხალხს დემონსტრაციის მოხდენა უნდოდა, მაგრამ პოლიციამ ხელი შეუშალა. პოლიციელებმა ხმლები იშიშვლეს, არავინ დაუჭრიათ. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.

**რომი.** ყველა მიმართულების გაზეთები პროტესტს აცხადებენ სოციალისტების მოწოდების წინააღმდეგ. სოციალისტებმა ეს მოწოდება ხელმწიფე-იმპერატორის ჩამოსვლის გამო გამოუშვეს.

**პარიჟი.** ლამბერგი ჟიუვიზიდან რაიტის ჰაეროპლანით პარიჟში მოფრინდა. ლამბერგი მეორე დღეს უკანვე გაფრინდა.

**ჟიუვიზი.** ჰაეროპლანების გაჯიბრების დროს ბლანკი ფრინავდა ბლერიოს ჰაეროპლანით. რაღაც მიზეზით ბლანკი ჰაეროპლანით მაყურებლების ტრიბუნაზე ჩამოვარდა. მძიმედ დაშავდა ერთი ქალი, მსუბუქად ოთხი კაცი.

### სპარსეთი

**თავრიზი.** აგარიდან დაბრუნდა ექიმი ნესმიანოვი. მისი სიტყვით რახიმ-ხანი გულის სიგანივრით არის ავად. რახიმ ხანმა თავის ცხენოსნებით არდებილზე გაილაშქრა.

### რუსეთი

**ნიკოლაევი.** გუშინ, 5 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე 9 შეიარაღებული კაცი თავს დაეცა კავაკუჩის მაღაზიას. ბოროტ განმზრახველებს დაედევნა დარაჯი. ბოროტგამზრახველებმა მოჰკლეს დარაჯი და მიიმალნენ.

**კიევი.** დასავლეთ რუსეთის ცხრა გუბერნიაში მცხოვრებ რუსთა წარმომადგენლების კრებამ თავმჯდომარედ აირჩია სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი როზანოვიჩი. კრებას დაესწრო 80 წარმომადგენლამდე.

**ვარშავა.** გაიხსნა ქალთა უმაღლესი კურსები. კურსებზე სამი ფაკულტეტია. მიიღეს 336 ქალი.

**კიევი.** ჩიგირინის სატუსაღოში ტუსაღებმა სეირნობის დროს იარაღი აჰყარეს ზედამხედველს. გაიქცა ერთი ტუსაღი, მაგრამ ქალაქში მოასწრეს და მოჰკლეს, დაჰჭრილია მეორე ტუსაღი. ზედამხედველებმა სროლა აუტეხეს ტუსაღებს. არეულობის მეთაურმა—ტუსაღებმა თავი მოიკლეს.

**მოსკოვი.** ოქტომბრისტების კრებაა, პირველი სიტყვა, განსაკუთრებულ წესების შესახებ, წარმოსთქვა მეიენდორფმა. მეიენდორფის აზრით განსაკუთრებული წესები ხალხის წინააღმდეგ არ არის მიმართული. როდესაც ტერრორი მოისპობა, განსაკუთრებული წესებიც თავის თავად გაუქმდება. შემდეგ ილაპარაკა ფონ-ანრეპმა. ანრეპი შეეხო სწავლა-განათლების საკითხს. მან სთქვა: სახალხო სწავლა-განათლება ისეთი საქმეა, რომ მთავრობა უსათუოდ საზოგადოებას უნდა ენდობოდეს, ისე არაფერი გაკეთდება. მე თვითონ ვიყავი სამოსწავლო ოლქის მზრუნველად, გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ ხალხისთვის ცოტა რამ სარგებლობა მაინც მოეტანოს, ზარალი კი ბევრი მიმიყენებია და ყველაფერი ეს ამ ჟამად გაბატონებულ სისტემის ბრალიაო. კაპუსტინი შეეხო უმაღლეს სასწავლებელს, უმაღლესი სასწავლებელი თავისუფალი უნდა იყოსო. კოვალენსკიმ ილაპარაკა საყოველთაო სწავლის შესახებ. გუჩკოვმა კრებას მოახსენა, ხოლმის რუსეთიდან დეპუტაცია ჩამოვიდა, შუამდგომლობენ, რომ ხოლმი პოლონეთს გამოეყოს და ცალკე გუბერნიად გადაკეთდეს. შემდეგ კრებამ დანარჩენი დრო, მესამე სახელმწიფო სათათბიროს ოქტომბრისტების ფრაქციის მოქმედების შესახებ კამათს მოანდომა. დელეგატმა ჩისტიაკოვმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. მან სთქვა: მართალია ოქტომბრისტების ფრაქცია მუშაობს, მაგრამ არ შეიძლება თვალები დავხუჭოთ და ანგარიში არ გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ მცხოვრებს აღარ აინტერესებთ მესამე სათათბირო და მისი ხელმძღვანელი—ოქტომბრისტებიო. დიდი ხნის კამათის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა, კენჭი უყაროთ ჩისტიაკოვის რეზოლიუციასო: ოქტომბრისტების მესამე კრება, იმ მუშაობისთვის, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში ოქტომბრისტების ფრაქციამ გასწია, მადლობას უხდის ფრაქციას. ამასთან კრება სურვილს გამოსთქვამს, რომ სათათბირომ ახლო სახელმწიფო მომავალში განიხილოს რუსეთის მოქალაქის თავისუფლებისა და ადმინისტრაციულ იუსტიციის შესახებ კანონ-პროექტები" კრება ამ რეზოლიუციას კენჭს ხვალ უყრის.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** ორ დღე-ღამეში ავად გახდა 41, გარდაიცვალა, 15 ავად არის 322 კაცი.

**რასტოვი.** უკანასკნელ კვირის განმავლობაში სოფელ ვერხნე დონბრანკაში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 11 კაცი.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **საგუბერნიო კრება.** საგუბერნიო საერობო კრების წევრნი თავად-აზნაურობამ და ქალაქის თვით-მმართველობამ ხუთ ოქტომბერს საღამოთი ქალაქის გამგეობის დარბაზში ჩაიზე მიიწვია. დაესწრნენ გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, სოფლებიდან ჩამოსული გლეხობა, ტფილისის საბჭოს ხმოსნები და სხვანი. საღამოს აზრადა ჰქონდა საშუალება მიეცა კრებაზე შეკრებულთათვის გაეცნოთ ერთმანეთი. დარბაზი ცოცხალ ყვავილებით იყო მორთული. დარბაზის ერთს კედელზე ყვავილების არშიით ეწერა: გაუმარჯოს ტფილისის ერობას. ჩაის დროს გაიმართა პატარა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გამგეობის მოხელეებმა და გარეშეთ. მომღერალმა ქალმა ქ-ნმა შულგინამ (ბახუტაშვილის ქალი) რამდენიმე რომანსი შეასრულა და დამსწრეთა შორის ტაშის ცემა გამოიწვია. მანვე შეასრულა ქართულად რომანსი „ისევ შენ და ისევ შენ, ჩემო ტურფა ლამაზო". ტაშის ცემით დააჯილდოვეს აგრეთვე ქ-ნი ფედიუნინისა, მარჯანკევიჩისა და სხვა. თავ. ნ. ერისთავმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა. ალტაცებაში მოიყვანა დამსწრენი, განსაკუთრებით გლეხობა რამდენიმე ლექსის წაკითხვით. საღამომ ღამის 12 საათამდე გასტანა. 11 საათიდან იქვე, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, მოხდა ბიუროს სხდომა ტეხნიკურ საკითხის განსახილველად. გუშინ, 6 ოქტომბერს დილით კერძო თათბირი გაიმართა კრებაში მონაწილე გლეხებისა. გლეხთა წარმომადგენლად 22 კაცია. მათგან მხოლოდ 5—7 კაცს შეეძლება მონაწილეობა მიიღოს თათბირზე. დანარჩენთ არც კი იციან, რა არის ერობა და სხვ. ამას გარდა, თათბირი რუსულ ენაზეა, ხოლო ეს ენა ძალიან ბევრს არ ესმის. გუშინ ირ. გულისაშვილმა, გ. გვაზავამ და ივ. აბხაზმა მოელი ლექციები წაუკითხეს გლეხებს თვითმართველობის შესახებ, ერობის შინაარსისა და მის მნიშვნელობის შესახებ. ორატორები მთელი საათობით ლაპარაკობდნენ რუსულად და როცა კერძო თათბირი გათავდა და გამოვკითხეთ კერძოდ, რა გაიგეთ ნალაპარაკევიდანო, გამოირკვა, რომ უმრავლესობას ვერა გაეგო-რა. ამიტომ ერთმა ჯგუფმა გლეხობამ გუბერნატორს სთხოვა, გადაუთარგმნონ ხოლმე ყველაფერი, რაც კრებაზე ითქმის. გლეხების უმრავლესობას სოფლის მოსამართლენი შეადგენენ. ინტელიგენტი და მომზადებული გლეხი ბევრი მოიპოვება გუბერნიაში, მაგრამ ისინი არ გამოუგზავნიათ. ადგილობრივი ცირკულიარული მოწერილება ისე განუმარტავთ თურმე, რომ კრებაზე უსათუოდ გლეხი უნდა გაიგზავნოსო, ხოლო გლეხად მარტო უსწავლელი ხალხი ჩაუთვლიათ. გუბერნატორმა ნება დართო გლეხებს ქართულად შეკითხვისა. თარჯიმანობა გუბერნატორმა მიანდო კ. პ. თუმანიშვილს. ამავე დღეს საღამოთი ოფიციალურად დაიწყო სხდომები სათათბიროსი. შეუდგნენ საკითხების განხილვას.

✦ **საკუთარ ქალის გაუპატიურება.** გორის გამომძიებელს უკვე გაუთავებია გამოძიება გიორგი ქებაძის საქმისა და პროკურორისთვის გადაუცია. ქებაძეს სოფ. ახალ დაბაში (გორის მაზრა) თავის საკუთარ ქალის გაუპატიურება ჰბრალდება. [illegible] მისის შუა-რიცხვებში, როცა გიორგი ქებაძე [illegible] სამუშაოდან დაბრუნებულა, თავისი ორი ვაჟი საქონელში გაუგზავნია, ხოლო ქალი წინა ოთახში შეუყვანია და ძალით გაუუპატიურებია. ქებაძე მას შემდეგ გორის საპატიმროში ზის.

✦ **ვოლსკის გარდაცვალების გამო.** ჩვენმა რედაქციამ ბაქოდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „წ.-კ. საზოგადოების ბაქოს განყოფილების გამგეობა დიდათ სწუხს ნიჭიერ პოეტის და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის უდროოდ დაკარგვის გამო და გთხოვთ გამოუცხადოთ ჭირისუფლებს გულითადი სამძიმარი".

✦ **ქარ-ტეხილი.** გუშინ დილით, როგორც სააგენტოს დეპეშა გვამცნობს, ბათუმზე ძლიერ ქარ-ტეხილს გადაუვლია,

✦ **სასწავლებელი თელავში.** კავ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველი შეეკითხა ტფ. გუბერნატორს, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ თელავში, თავ.-აზნაურობისა და ქალაქის თვით-მართველობის თხოვნის თანახმად, დაარსდეს ვაჟთა კერძო სასწავლებელი პირველ ხარისხისაო.

✦ **ბანკის კანცელარიის გამგე.** ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის კანცელარიის გამგედ, ამას წინად გარდაცვლილ გ. მაჩაბლის ადგილზე, დანიშნეს გ. ლასხიშვილი.

✦ **ნამესტნიკის ჩამოსვლა.** კავ. ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს ტფილისში მოელიან 8 ოქტომბერს, დილის 8 საათზე.

✦ **პოლიტიკური საქმე.** 6 ოქტომბერს სამოსამართლო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი ს. მეტეხში მცხოვრებ აზ. დ. მაღალაშვილისა, რომელსაც ტფ. ოლქის სასამართლოსაგან გადაწყვეტილი ჰქონდა რვა თვით დაპატიმრება. ჰბრალდებოდა 1905 წელს სხვებთან ერთად ს. ახალქალაქში მემამულეებისაგან იარაღის ჩამორთმევა წითელ რაზმისათვის. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

✦ **უპასპორტოები.** 4 ოქტომ-

# მარიამი, უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი

(შემდეგი *)

მანიფესტი ჯერ კიდევ საჯაროდ მიღებული და გამოცხადებული არ იყო საქართველოში, მაგრამ მისი შინაარსი უკვე იცოდნენ. პეტერბურგში მყოფმა ბატონიშვილმა იოანემ მაშინვე გამოუგზავნა თავისს ძმას დავითს თარგმანი მანიფესტისა და ურჩევდა, წარედგინათ იმპერატორისათვის თხოვნა, ხელმოწერილი სამეფო სახლობის წევრთაგან და საქართველოს დიდებულთაგან და ეთხოვნათ მეფედ ბატონიშვილი დავითი. ბატონიშვილის იოანეს წერილის გარდა მრავალი სხვა წერილიც მოდიოდა პეტერბურგიდან საქართველოში. ყოველი ასეთი წერილი ელვასავით ედებოდა მთელს საქართველოს და აშფოთებდა. აქტებში შენახულია რამდენიმე ასეთი წერილი, რომელთაგანაც ზოგიერთი არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ.

„თუ ქსურს აქაურის ამბების გაგება,—მანიფესტი უკვე ნანახი გექნება, ეხლა დიმიტრი ორბელიანს მისცეს სარდლობა, შენ კი აღარა გაქვს იგი, ბატონიშვილებს უკან აღარ უშვებენ და იმათაც, ვინც მანდ არიან, აქეთკენ უპირებენ გამოსტუმრებას. როცა მაგათაც წამოიყვანენ აქ, განკარგულებაა მოხდენილი, რომ ყოველივე მონათესავე და მახლობელი ბაგრატიონთა აქ გადმოასახლონ, შემდეგ ყოველივე წარჩინებული, დიდებული, აზნაურიშვილი და ბოლოს გლეხკაცნიც, რომელთა მაგიერაც 14,000 ყაზახის ჯარი უნდა დაასახლონ საქართველოში. ყველა ეს მოიმოქმედა გარსევანმა, ამას გენერლის ჩინი უბოძეს, თქვენ კი დაილუპენით. მე მამი თქვენის პურ-მარილი მიჭამია და ეს მათქმევინებს ყოველსავე ჭეშმარიტებას; იყვეს ნება თქვენი." [8])

ამ წერილს იწერება რუსეთიდან უცნობი ავტორი ვინმე მოქალაქე, იოანე ორბელიანის სახელობაზე, რომელსაც საქართველოს მეფეების დროს სარდლობა ებოძა. წერილი მოწერილია 3 იანვრის 1801 წლის თარიღით.

აი კიდევ მეორე წერილი, რომელსაც თავ. ზაზა ორბელიანი იწერება თავ. იოანე ორბელიანისა და სოლომონ თარხნიშვილის სახელოზე მოსკოვიდან.

„აქაურს ამბავს მოიხსენებთ. ღვთით, მშვიდობით გახლავართ ყველანი და საქმეს თუ იკითხავთ, დიახ კარგად გვქონდა გამაგრებული, რომ როგორც გინდოდათ და ვისთვისაც გინდოდათ, მაგრამ კნორინგი რომ მოვიდა, მაგას რაღაც ჭორი-ჭური ეთქვა, რომ საქართველოს ხალხს აღარც მეფე უნდათო, არც მდომებენო ხელმწიფეს და კარისკაცთ არწმუნა ჩვენის მალვით და ჩვენ სხვას გვეუბნებოდა. ამის მიზეზით საქმე შებრკოლდა და გამოაცხადეს, რომ საქართველოში არც მეფე უნდა იყოსო და არს ჩვენ ვუმობთო. იფიქრეთ, რა იქნებით და ან ვისი რა გესაქმით. მანდაურმა უბრალო რახა რუხმა ეს გაპოვინათ. მანდ არ იყავით, როგორ ათქმევინევით? თუ მართალი არის, ქვეყნის ცოდოში რათა სდგებოდით და ან თქვენს თავს რათ უზამდით; არ შერცხვა ამის მთქმელს, რომ შუა შარაზედ დარჩა,—აღარც ბატონი და აღარც პატრონი კნორონლი და კოვალევსკი და დიმიტრი (ზემოდ მოხსენებული დიმ. ორბელიანი) განაწესეს და რამდენიმე სხვანიც და რაც მანდაური გამოსავალი არის, სულ ამათ უნდა ხარჯონ, ყველანი უკაცრავად იქნებიან. ესენი რომ გამოგვიცხადეს ელჩებმა, ჩვენ არ გვიყაბულეს და უარი უთხარით და ხელმწიფეს არზა მივართვით; ღვთის მოწყალებით, კარგად მიდის საქმე, ასე როგორც გინდათ... **ის მანიფესტი გამოაპარეს მანდ საცდელად, რომ რას იქმონენო.** არამც და არამც ყაბული გიქნიათ, თორემ მაგაში ნახავთ რაც სარგებელი არის: არც მანდაურს ხალხს დაუმადლეს და არც კნორინლს. კნორინლი კი წამოვიდა ლინიაზედ, მანდაურს ხალხს ხელმწიფე ის ეგონათ და აქ არც კი ახსოვთ და არც რა გაუვა. ამაზედ მოსტყუვდეთ,—აქ საქმე რიგდება კარგად; რაც გინდ გითხრან ასე უთხარით, რომ იქ ელჩები გვყავს, თორემ არ ვარგა და თქვენც იცით. საიდუმლო იყოს ეს საქმე, აქაც არავინ იცის ბევრმა". [9])

ამ გვარის წერილებით იფინებოდა საქართველო, ხალხი ღელავდა, გამოურკვეველს მდგომარეობაში იყო და არ იცოდა, რას ეტყოდა ხვალინდელი დღე. მანიფესტი ჯერ არ იყო საჯაროდ გამოცხადებული, კნორინლი თითქოს განგებ იგვიანებდა. მანიფესტი 12 ენკენისთვეს 1861 წელს გამოიცა პეტერბურგში, კნორინგმა კი მხოლოდ 12 აპრილს 1802 წელს ინება მისი გამოცხადება, ე. ი. სწორედ შვიდის თვის შემდეგ. ძნელი ასახსნელია, რათ მოიქცა კნორინგი ასე, იქნება, ზაზა ორბელიანისა არ იყოს, „საცდელად იყო მანიფესტი გამოგზავნილი, აბა რას იქმნენო". უფრო შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ კნორინგს უნდოდა ხალხი შესჩვეოდა მანიფესტის შინაარს და მოსალოდნელს ცვლილებას, რათა მანიფესტის უცებ გამოცხადებით ხალხში მღელვარება-აჯანყება არ მომხდარიყო. ასე თუ ისე, კნორინგმა მხოლოდ 9 აპრილს 1802 წელს ინება ტფილისში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამობრძანება და 12 აპრილს უკვე გამოცხადდა მანიფესტი და ფიცი მიაღებინა სამღვდელოებას, თავად-აზნაურობას, მოქალაქეთ და ტფილისში მყოფ ბატონიშვილთ: ქათალიკოსს ანტონის, ვახტანგს, დავითს და თეიმურაზს. ფიცის დროს ჯარი შემოარტყა ხალხს, ალბად ეშინოდა არავინ უარი არა სთქვას ფიცზედაო.

მანიფესტის გამოცხადებამ უფრო აღელვა ხალხი. თუ წინად ბევრს არა სჯეროდა მანიფესტის შინაარსი, ეხლა საჯარო გამოცხადებით ყველა დარწმუნდა მის სინამდვილეში. უკმაყოფილება გაისმა ყველგან, თვით ქათალიკოსს ანტონისაო, ამბობს ლაზარევი, უკმაყოფილების ბეჭედი ესო სახეზე, როცა ჰარაკლისს იხდიდაო. ეჭვი არ უნდა, არა ნაკლები უკმაყოფილონი იქნებოდნენ ბატონიშვილნი და მრავალნი დიდებულნი საქართველოსი, რომელთა თანამდებობანი და ნათესაობა მჭიდროთ შეკავშირებული იყო სამეფო სახლეულობასთან. ფიცის დროს ჯარის შემორტყმით კნორინგმა ხომ უფრო ერთი-ორად ხელი შეუწყო უკმაყოფილებას.

იმერეთში გახიზნულ ბატონიშვილებსაც გაუგზავნა კნორინგმა მანიფესტი და მისწერა, მთელმა საქართველომ, ბატონიშვილებიდან დაწყებული, ფიცი მიიღო იმპერატორის ერთგულებაზე, თქვენც გირჩევთ მათ მაგალითს მიჰმართოთ, დაბრუნდეთ თქვენ სამშობლოში და წყნარად იცხოვროთო. ამასთან აუწყებდა, თქვენი წარსული მოქმედება დავიწყებული იქნება და დიდს პატივსა და სიკეთეს მოგაგებთო. იულონმა, როგორც მოსალოდნელი იყო, პასუხიც კი არ აღირსა კნორინგს.

გავიდა თუ არა კნორინგი საქართველოდან, ხალხმა მაშინვე მღელვარება დაიწყო. ის ხმები, რომელიც საქართველოში იყო გავრცელებული მეფობის გაუქმების შესახებ, მანიფესტის გამოცხადებით სავსებით გამართლდა და ცხადი გახდა ყველასათვის. ხალხის მღელვარება გაიზარდა და გადმოსკდომას ლამობდა. დიაღ, არა ჩვეულებრივი საქმე მოხდა და ამიტომ პირველში ხალხი ვერ შერიგებოდა. წინადაც საქართველო არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა სხვათა მონობაში, სპარსელები და ოსმალები მთელის საუკუნეობით ფლობდნენ საქართველოს, მაგრამ არც ერთს მათგანს მეფობა არ მოუსპია საქართველოში. მთელის საუკუნოების განმავლობაში მეფეების ბატონობა-პატრონობას დაჩვეულთ, ეხლა ვერ წარმოედგინათ, რანი უნდა ყოფილიყვნენ. „ეს ფრანციელთ მსგავსი რესპუბლიკა იქნებაო,—სწერდნენ კახეთის დიდებულნი თავიანთს თხოვნაში,—ჩვენს მეფეებს რა დაუშავებიათ ჩვენთვის, რომ უარ-ვყოთ"?.. სამაგიეროდ, მთავარ-მართებლად საქართველოში კნორინგი დაინიშნა, ხოლო იმის თანაშემწედ კოვალენსკი, რომელსაც ტფილისში უნდა ეცხოვრა. ეს ის კოვალენსკი იყო, რომელმაც ორიოდე წლის წინად გაძარცვა და გაყვლიფა საქართველო და თავისი უზნეო ყოფა-ქცევითა და ანგარების მოყვარეობით თავი მოაძულა ყველას იმდენად, რომ გენერალი ლაზარევი იძულებული იყო მოეთხოვნა მისი გაძევება. კოვალენსკი მაშინ უბრალო მინისტრი იყო მეფის კარისა, რომელსაც რუს-ქართველთა საერთო საქმენი უნდა ეწარმოებინა, ეხლა კი გამგე გახდა საქართველოსი. თუ მაშინ ამ ვაჟბატონმა აიკლო საქართველო, ეხლა რაღას იზამდა? ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააოცა ხალხი.

ყველა ამას მოემატა განმეორებითი ხმები ქართველთა რუსეთში გადასახლების, საეკლესიო მამულების ჩამორთმევის, მოურაობის გაუქმების, ქართველთა ჯარის კაცებად გაწვევისა და სხვათა შესახებ.

ბატონიშვილებმა პირველ ხანებში არ იცოდნენ, რა ექნათ, მაგრამ ჩქარა გონს მოვიდნენ და შეერთებულის ძალით დაიწყეს მოქმედება. თუ წინად ერთმანეთს ტახტის გამო ედავებოდნენ და თავპირს ამტვრევდნენ, ეხლა რაღაზე უნდა შესცილებოდნენ ერთმანეთს, როცა ტახტი სრულიად გამოეცალათ ხელიდან. ეხლა პირიქით შეერთებულის ძალღონით უნდა ცდილიყვნენ ტახტის აღდგენას. ყველანი ეხლა ერთს ტაფაში იწოდნენ. საქართველოს მეფობა, რომელიც მთელის საუკუნოების განმავლობაში მათს გვარში იყო, ეხლა ხელიდან ეცლებოდათ. რასაკვირველია ბატონიშვილნი ამას უომრად არ დასთმობდენ და გულხელ დაკრეფილნი არ დასხდებოდნენ. ნათქვამია, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო. ბატონიშვილნიც ამ საერთო ჭირმა შეაერთა და შეაკავშირა. ვახტანგი და დავითი, რომელნიც წინად შეურიგებელნი მტერნი იყვნენ ერთმანეთისა, პირველი მეგობრები გახდნენ. ან კი რა ექნა ბატონიშვილს დავითს, ის მცირე მომხრენი

*) იხ. „დროება" N 220.

8) „Акты археограф. комм." т. 1. ст. 442.

9) ibidem, გვ. 504. წერილი ქართულად არის მოყვანილი და დაცულია მართლ-წერა ავტორისა.

ბერს პოლიციის მე-8 ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 26 უპასპორტო კაცი.

✦ **თხოვნების დამწერთა კოოპერაცია.** „ბაკუ“-ს სიტყვით, ბაქოში თხოვნების დამწერნი შეამხანაგებულან, დაუარსებიათ საერთო კასსა. ამხანაგობის თვითეული წევრი მოვალეა, რასაც იშოვის კასაში შეიტანოს. ამნაირად, მოგროვილ ფულს ამხანაგობის წევრები თანასწორედ გაიყოფენ.

✦ **ფული არა სჩანს.** გაზეთ „მშაკ“-ში დაბეჭდილია ერთი ცნობა, ეჩმიაძინიდან მოწერილი, სომეხთა ქათალიკოსის აწ უკვე გარდაცვალებულ ხრიმიანის მოქმედების შესახებ. ეხლანდელ ქათალიკოს გამოურკვევია, რომ გარდაცვლილ ქათალიკოსს მოსდიოდა საეკლესიო და სხვა ფული სხვა და სხვა კუთხიდან, მაგრამ წიგნები ისე უწარმოებიათ, რომ არსად არა ყოფილა ჩაწერილი არც მოსულ ფულის რაოდენობა, არც ის, თუ რაში დახარჯულა ფული. ქათალიკოს მათეოს მეორეს უთხოვნია ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებისთვის ოფიციალური ცნობები იმის შესახებ, თუ ქათალიკოსის სახელზე რამდენი ფული ყოფილა გაგზავნილი. ამ შეკითხვაზე ვაგარშაპატის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას უცნობებია, რომ განსვენებულ ხრიმიანს ჩვენი კანტორიდან 410,000 მანეთი გადაეცაო. ეს ფული არც შესავალშია და არც გასავალში ნაჩვენები.

✦ **ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამღვდელოება.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, კავკ. ნამესტნიკის წინადადებით, სინოდი შესდგომია იმის განხილვას, თუ როგორ გააუმჯობესოს ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამღვდელოების ქონებრივი მდგომარეობა.

✦ ამას წინად ტფილისში დააპატიმრეს მდიდარი მოქალაქე ალექსანდრე მელიქ-აზარიანცი, რომელსაც დაბრალდა, „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის წევრობა. ნება მიუციათ მელიქ-აზარიანცისათვის, თავმდებობით განთავისუფლდეს საპატიმროდან. მელიქ-აზარიანცს სათავდებოდ სთხოვენ 60,000 მან.

✦ პოლიციამ დააპატიმრა 4 ოქტომბერს საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლებულნი და თავის ნებით ტფილისში დაბრუნებულნი ალექსანდრე სენიცკი და ნიკოლოზ შალუტაშვილი.

# მოწერილი ამბები

**ბაღდადის მხარე.** დიდი განსაცდელი გამოიარა შიმშილობის გამო შარშან აქაურმა მხარემ და წრეულს ხომ სულ უარესი უბედურება მოელის. შარშან თუ სიმინდის მოსავალი ცუდი იყო, ღვინო მაინც ბლომად მოვიდა; წრეულს-კი სიმინდის მოსავალიც შარშანდელთან შედარებით გამუდმებულ გვალვების გამო შესამჩნევად ნაკლებია. თითქმის სულ არ არის და მასთან ღვინის მოსავალი ახალ გაზაფხულზე მოულოდნელ ყინვებისა და ზაფხულის გვალვების გამო ძლიერ ნაკლებია. ასეთი მოუსავლობის წელიწადი ჯერ არავის აქეთ არ ახსოვს. დიდი შიმშილობა მოელის წელს აქაურ მხარეს და წარმოიდგინეთ, დაიწყო კიდეც ამ შემოდგომიდანვე. შიმშილი ხომ წინამორბედია სხვა და სხვა სენისა და არ ვიცი, როგორ დააღწევს ბეჩავი ხალხი თავს ამ უბედურებას მაშინ, როდესაც ხსნა არსაით არა სჩანს!..

აქაურმა მემამულემ მიხრან ანანოვმა წინადადება მისცა ხალხს ბაღდადიდან სარწყავ არხის გაყვანის შესახებ საამხანაგოდ მდ. ხანის-წყლის მარცხენა ნაპირზე შლპარექსოფლებში—ფერსათისა, როკითისა, დიდველისა და ვარციხეში. ხალხი თანაგრძნობით შეეგება ამ წინადადებას. ბ-ნმა ანანოვმა მოიწვია კიდეც ტფილისიდან ინჟ.-გირდავლიკოსი კილბლოკი, რომელმაც შეადგინა გეგმა აღნიშნულ სარწყავ არხისა. აგრეთვე მდ. ხანის-წყლის მეორე (მარჯვენა) ნაპირზე სოფ. დიმში სარწყავ არხის გასაყვანად აქაურ მკვიდრის გენერალ მიხეილ ხხეიძის თაოსნობით ხალხმა დაადგინა განაჩენი. ამ სარწყავ არხების მოწყობა ხომ, როგორც საზოგადოდ, დიდი ბედნიერება იქნება მთელ ბაღდადის მხრისთვის, მაგრამ თავსატეხი და სავალალო ის არის, რომ დამშეული და ათასგვარ მოთხოვნილებისაგან დაწიოკებული ხალხი ვერაფრის გზით ვერ შესძლებს არხების გასაყვან ფულის გაღებას (ქცევაზე თორმეტ მანეთამდის მოდის ხარჯი), თუ რაიმე წყარო არ გამოენახა დასახმარებლად. ერთი ამგვარი წყაროთაგანი მელიორაციული კრედიტია, რომელსაც მთავრობა იძლევა პირდაპირ სასოფლო მეურნეობის დაწინაურების საქმისთვის და რომელსაც ამასთან იშვიათად თუ ედირსები, რადგან უფრო წლიური თანხა ამ საქმისთვის შესამჩნევად ცოტაა გადადებული და მთხოვნელი კი აუარებელია. აქაური საქმის მეთაურები სცდილობენ მთავრობისაგან ამ კრედიტის მიღებას და ვნახოთ, რამდენად გაუღიმებს ბედი ამ საქმეს.

წინად ბაღდადში არსებული წიგნთსაცავ-სამკითხველო, ადიხანოვის დროს ათხრებული, გაუქმდა. წრეულს ბ-ნ ერმილე დვალიშვილმა ნებართვა მიიღო იმის ხელ-ახლა დაარსებისა. 22 ენკენისთვეს მეორე კრება იყო დანიშნული აღნიშნულ წიგნთსაცავ-სამკითხველოს გახსნის შესახებ. წევრად ჩაეწერა ჯერჯერობით სამოცამდის კაცი და მოსალოდნელია წევრთა რიცხვის გაძლიერება. კრებამ დაადგინა საწევრო გადასახადი წლიურად ორი მანეთი. აირჩია გამგეობაში სამი კაცი—ეკატერინე ალ. დადეშქელიანი, ერმილე დვალიშვილი და ანტონ ბუცხრიკიძე. აირჩია აგრეთვე სარევიზიო კომისია—კოტე კაკუშაძე, აგათონ გეგეშიძე და გ. ახვლედიანი.

სასოფლო ქსენონი, რომელიც ის-ის იყო კანადამ გამოათხოვეს ბაღდადს და ბჭვანში გადაიტანეს, მრავალ დავიდარაბისა და კომისიებში განხილვის შემდეგ, ისევ დასტოვეს ბაღდადში, ახლა მაინც, იმედია, დაწყნარდებიან ის ვაჟბატონები, რომელთაც ქიშპობითა და ათასნაირ ხრიკებით ხელი შეუშალეს ხსენებულ სავადმყოფოს სასურველ ნიადაგზე დაყენების საქმეს. **ვ. ა.**

# გრიგოლ ვოლსკი

შშვიდათ, თითქოს მითვლემას აპირებსო, უეცრად, ისე რომ ახლობელ მეგობრებსაც არ გაუგიათ ავადმყოფობა, გარდაიცვალა ცნობილი მგოსანი და საზოგადო მოღვაწე.

არიან ადამიანები, რომელთა შესახედავი მოღვაწეობა, კაცობა, მხოლოდ უმცირესი ნაწილია მათ ბუნებაში ჩამარხული სიმდიდრისა. მშვენიერი, დამატკბობელი არის „შენ გეტრფი მარად“, „მე იქ აღვზდილვარ...“ და სხვა; სასარგებლო და ნაყოფიერი იყო ვოლსკის მოღვაწეობა ბათომის თვითმმართველობაში, მაგრამ განა ამ ოციოდე წერილის მეტი არაფერი ჰქონდა სათქმელი? განა უფრო ფართო მოქმედებისთვის არ იყო მომზადებული განსვენებული, რომ ჩვენი ცხოვრების უჩინარს და გამოჩენილს ქსელებს არ შეეკრათ მისთვის ფეხები?

ვინ იცის, „მგესლმა გველმა“ რამდენს ლექსს შხამით გაუხმო ძირი, ვინ იცის რამდენს „საქმეს სამგიროს“ სევდამ დაუხშო კარი!

ეხლა კი... ეხლა
აღარ გეწვევა სევდა დამწველი,
გულს ვერ დაგირღნის, ვით მგესლი
გველი,
უფროსო მეგობარ-ამხანაგო, საყვარელო ძმავ!

**ნ. ლორთქიფანიძე.**

# ქართველ სტუდენტთა კავშირის გამო

((დასასრული *)

უმთავრესი მოსაზრება, რომელიც ბ-ნ ქავთარაძეს მოჰყავს მომავალ კავშირის წინააღმდეგ, არის ქართველ სტუდენტთა მსოფლ-მხედველობის სხვა და სხვაობა. ეს სხვა და სხვაობა, იმის აზრით, უთანხმოების მეტს არას დაბადებს, ხოლო იქ, სადაც უთანხმოებაა, მოგეხსენებათ, არავითარ კავშირზე ლაპარაკი არ შეიძლება. გავშინჯოთ ეს მოსაზრება მაგალითზე, ვთქვათ რომელიმე უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან დაარსდა, განურჩევლად მიმართულებისა, ჯგუფი ქართულ ისტორიის შესასწავლად. აქ აღძრული საკითხი, როგორც ამის თავმდებია ჯგუფის შედგენილება, განხილულ იქნება სხვა და სხვა თვალ საზრისით, ეს კი რამდენადაც ვიცით, განხეთქილებას არ გამოიწვევს, პირიქით ხელს შეუწყობს საგნის უფრო უკეთესად წარმოდგენას. ასევე მოხდება ქართულ ლიტერატურის შემსწავლელ ჯგუფში და დანარჩენ ჯგუფებშიაც, რომელნიც მიზნად დაისახავენ ამა თუ იმ სოციალურ საკითხის შესწავლას. აღარას ვიტყვი საბუნების-მეტყველო და საქიმიო საგნებზე სადაც მსოფლ-მხედველობას ნაკლები მნიშვნელობაა აქვს.

მაგრამ იქნება კავშირის კულტურულ მუშაობის მეორე მხარემ ვერ იხეიროს ბ-ნ ს. ქავთარაძის მიერ მოყვანილ მოსაზრებისამებრ, მსოფლ-მხედველობის სხვა და სხვაობის გამო. ამის დასამტკიცებლად მას მაგალითიც მოჰყავს—პეტ. ქართველ სტ-თა წრეში გამოწვეული უთანხმოება აკაკის იუბილეისთვის ადრესის გამოგზავნის დროს, მაგრამ ამის შესახებ უნდა შევნიშნოთ რომ ეს მაგალითი მოსატანი არ არის, რადგან თუ პეტერბურგის წრე გამოჰგზავნიდა ადრესს, რომელსაც რომელიმე მიმართულების ელფერი დაედებოდა, ბუნებრივია, რომ დანარჩენი მიმართულებანი არ დასთანხმდებოდნენ, რადგან ეს იმისთანა დროს, როგორიც იყო აკაკის იუბილეი, თავის ინდივიდუალობის დაკარგვას და ადრესში გატარებულ ელფერის მიმცემ ჯგუფის გაბატონებას ნიშნავს. კავშირის მოქმედებაში-კი, რომელსაც პრაქტიკულ მუშაობის დროს მიზნად უნდა ჰქონდეს ხალხში სინათლის შეტანა, ამნაირი რამ არ შეიძლება, რადგან კავშირის უმთავრესი მიზანია შეჰქმნას იმ გვარი პირობები, რომელიც საშუალებას მისცემს იმის წევრთ შეიტანონ ხალხში შეგნება. უფველი წევრი, რასაკვრელია, ამა თუ იმ სოციალურ საკითხს გააცნობს ხალხს, თანახმად თავის მსოფლ-მხედველობისა, მაგრამ ეს ერთი წევრი ვერ დაჩრდილავს სხვებს, რადგან იგი გამოვა არა რომელიმე წრის სახელით, არამედ როგორც კერძო პირი და ამასთან დანარჩენებსაც ამ გვარივე საშუალება ეძლევათ მოქმედებისა. რომ კულტურულ მუშაობისთვის შესაძლებელია შეკავშირება სხვა და სხვა მიმართულების მუშაკებისა ამის მაგალითისთვის შორს ნუ წავალთ და ავიღოთ ის უნივერსიტეტები, სადაც ჩვენი სტუდ—ობა სწავლობს, ნუ თუ ბ-ნ ქავთარაძეს ჰგონია, რომ ყველა პროფესორი ერთი მსოფლ-მხედველობისაა? დიახ, სხვა და სხვა მიმართულების პროფესორები შესაძლებლად სცნობენ მეცადინეობას ერთსა და იმავე უნივერსიტეტში.

ცოტაოდენ ნიადაგს ქართველ სტ—ბის შესაკავშირებლად ბ-ნი ს. ქავთარაძეც ჰხედავს. ეს ნიადაგი არის პირველ-დაწყებითი სწავლის გავრცელება, ბიბლიოთეკების დაარსება და სხვა. მაგრამ ამგვარ კულტურულ ... შეუძლებლად მიაჩნია ორგანიზაციის მოუწყობლობის გამო. ... ვერც-ერთი ორგანიზაცია ვერ დააკმაყოფილებს იმას, რაც ბ-ნ ს. ქავთარაძესა აქვს წარმოდგენილი—ერთსა და იმავე დროს რუსეთშიაც უფვნა-მეცადინეობა და აქ ხალხშიაც მუშაობა. მაგრამ, როგორც ზემოდა ვნახეთ, ეს არც არავის მოსვლია თავში, ხოლო ზაფხულობით დაბრუნებულ სტ—თათვის სამუშაოდ პირობათა შესაქმნელად ორგანიზაციის დაარსება-კი, როგორცა ვსთქვი, შესაძლებია.

ამნაირად, ორივე მოსაზრება კავშირის წინააღმდეგ ცარიელი სიტყვებია, ნიადაგს მოკლებული. მაგრამ თუ გულდასმით წავიკითხავთ ბ-ნ ქავთარაძის წერილს, დავინახავთ, რომ ეს მოსაზრებანი დასჭირებია სულ სხვა მიზნით. საქმე იმაშია, რომ ბ-ნ ქავთარაძეს კულტურული მუშაობა ეროვნულ ნიადაგზე არა სწამს და რაკი ამას პირდაპირ ვერ ამბობს, მოსდგომია და დობე-უფრეს ეძებს. ბ-ნ ქავთარაძეს ისეთ პატარა საქმედ მიაჩნია ნაციონალური კულტურა, რომ, მისის აზრით, ამაზე ფიქრი და ლაპარაკი საჭირო არც-კია, მით უმეტეს, რომ, როგორც მას ჰგონია, მალე დადგება დრო პარტიულად მუშაობისა, როცა ყურადღება უნდა მიექცეს დანგრეულ „იაჩეიკების აღდგენას და სხვა“ მაშინ, განაგრძობს ავტორი, „სამშობლო და ნიადაგიც ჰკარგავს ნიადაგს“ (ალბად ბ-ნ ქავთარაძეს პარტიული მუშაობა ქართველ ხალხში სურს აწარმოოს „ესპერანტოს“ საშუალებით, სამშობლო პირობების შეუსწავლელად და ეს მაშინ, როცა ჩვენ ხალხში უბრალო წერაკითხვაც კი არ იცის მომეტებულმა ნაწილმა). ასე მსჯელობს ბ-ნი ქავ—ძე და ძველებურად, ეს-დეკურად ვერ შეჰრიგებია ყველა იმას, რასაც ნაციონალური სული უდის. ამისთვის ვერც განვლილ რევოლიუციონურ და ვერც დღევანდელ რეაქციონურ ხანას ვერა უსწავლებია-რა. მაგრამ მოგეხსენებათ, რაც ფანატიზმზეა დამყარებული, იმისთვის არც ლოგიკას და არც ფაქტებს მნიშვნელობა არა აქვს. არც ჩემი წერილია მის დასარწმუნებლად დაწერილი. თუ განვიხილე მისი არგუმენტაცია, მხოლოდ იმიტომ რომ შეცდომაში არავინ შევიდეს.

*) იხ. „დროება“ N 219.

---

რომელნიც წინედა ჰყავდა და მისგან წყალობა და ადგილ-მამულს მოელოდნენ, სრულიად ჩამოსცილდნენ მას შემდეგ, რაც კნორინგმა იგი საქართველოს მართვა გამგეობას მოაშორა. ეხლა ყველანი იმას ლასცდილობდნენ, საქართველოში მეფობა არ მოსპობილიყო სრულიად და საკუთარი ქირ-ვარამი აღარავის ახსოვდა. ბატონიშვილი დავითი ერთს თავისს წერილში ასე სწერს ლაზარევს: „შენ კარგად იცი, ჩემს გულში აღარ არის სურვილი მეფობისაო“. პატონიშვილნი და დარეჯან დედოფალი შეთანხმდნენ და პირობა დასდეს საერთო ძალღონით ემოქმედნათ სამეფოს აღსადგენად. მეფედ დარეჯანის მიერ არჩეული ბატონიშვილი უნდა დასვათ. მათ ვრცელი გეგმა შეადგინეს მოქმედებისა: კახეთში, სადაც ძლიერი მომხრეები ჰყავდათ, შეთქმულება უნდა მოეხდინათ. ვახტანგს არაგვის ხეობა უნდა აეჯანყებინა და საქართველოს სამხედრო გზა შეეკრა. ბატონიშვილი დავით ბორჩალოში უნდა წასულიყო ჯარის შესაკრებად და ხალხის ასაჯანყებლად და რომ ეჭვი არ აეღოთ ლაზარევსა და კოვალენსკის, ხმა უნდა გაევრცელებინა, ვითომ სპილენძის ქარხნების დასათვალიერებლად მოგზაურობდა[10]. იულონი და ფარნაოზი იმერეთის ჯარით და ახალციხის ფაშით უნდა შემოსეოდნენ ქართლ-კახეთს, ალექსანდრე ბატონიშვილს კიდევ სპარსეთისა და ლეკის ჯარით ბელაქნის მხრიდან უნდა მიეტანა იერიში კახეთზე.

გეგმა კარგად იყო შედგენილი, მაგრამ ასრულება მისი ძნელი იყო. ბატონიშვილთ საკმაო ძალ-ღონე არა ჰქონდათ, საჭირო ცოდნა და გამოცდილებაც არ მოეპოვებოდათ და წინ და წინვე შეეძლო ეთქვა კაცს, რომ ბევრს ვერაფერს გახდებოდნენ. აკი ასეც მოხდა.

პირველად შეთქმულებამ კახეთში იფეთქა, რადგან აქ უფრო თავგამოდებული და მარჯვე მომხრეები ჰყავდათ ბატონიშვილებს. 25 ივლისს 1862 წელს მდინარე ლაკმაზე მოხდა შესანიშნავი კრება, რომელსაც დაესწრნენ წარჩინებულ სასულიერო და საერო პირნი კახეთისა და რომელზედაც დაადგინეს, შემდეგი შინაარსის თხოვნა მიერთმიათ იმპერატორისათვის.

„ერთობით კახეთსა შინა მცხოვრებნი, სასულიერონი და საერონი მუხლ დადგმით მოგახსენებთ ყოვლად უდიდებულესს მფარველობასა თქვენსა ესრეთ:

„მოწყალეო ხელმწიფევ! როდესაც ერთგულებასა ზედა თქვენსა იმპერატორებითსა უდიდებულესობასა დაგვაფიცეს, მყის გამოგვეცხადა მანიფესტით, რომ ვითომც, ჩვენ მოგვეხსენებინოს კარსა წინაშე უდიდებულესისა ხელმწიფებისა თქვენისა, მეფე აღარ გვინდა და უმეფოდ შემოვსულვართ მფარველობისა ქვეშე.

„ეს ფრანციულთ მსგავსი რესპუბლიკაობა იქნებოდა ჩვენგან. ჩვენს ბატონებს რა დაუშავებიათ ჩვენზედა, რომ უარვყოთ; ათას ორი წელი მეტი არის, რომ ბაგრატიონნი მემკვიდრეობენ და ეგრეთვე მრავალი ამათგანნი ჩვენის გულისათვის წამებულან ქრისტესთვის და ჩვენთვის სისხლი დაუთხევიათ და ჩვენც ამათ წინ ამოვწყვეტილვართ მრავალნი.

„ესე ჩვენი ჰაზრი არ არის,—მაცთურთა კაცთაგან მომხდარია. ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ჩვენზედ მრავალგვარად გარჯილის და დავწლდადებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ და ამ ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ და ჩვენის მეფით თქვენს მფარველობის ქვეშ გვამყოფოთ და რაოდენ ჩვენი შეძლება იყოს, ისე გვიმსახურეთ.

„ამას ვითხოვთ თქვენის დიდებულებისაგან მუხლ-დადგომით და სულთქმით“.

დასწერეს რა ეს თხოვნა იმპერატორისათვის მისართმევად, ფიცი მიიღეს ჯვარსა და სახარებაზე იმპერატორისა და იულონის ერთგულებაზე და პირობა დასდეს: „ვინც ამაში უკან დასდგეს, წმინდის სამების უარის მყოფელიც იქნება, ბაგრატიონთ ოჯახის მუხანათიცა და ჩვენც ერთობით გარდავახდევინებთ“.[11])

როცა შეკრებილნი ამ ყოფაში იყვნენ, თავს წამოადგათ პოდპოლკოვნიკი სოლენიუს ექვსის ყაზახით. სოლენიუსმა იკითხა მიზეზი კრებისა და უსაყვედურა, რატომ წინადვე არ შემატყობინეთო. ამ დროს გზაზე გამოჩნდა მთელი ჯარი, ყველანი წამოიშალნენ, მისცვივდნენ თავთავიანთ ცხენებს და სოლენიუსს გამოუცხადეს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ვიბრძოლებთ და ტყვედ არავინ ჩაგივარდებით, თუ თავს არ დაგვანებებთო. სოლენიუსმაც იკადრა თავისის ჯარით უკან გამობრუნება, მხოლოდ არქიელს სთხოვა, დაემშვიდებინა ხალხი. შეკრებილნი აქედან სოფ. ნუკრიანში წავიდნენ, მაგრამ სოლენიუსმა აქაც არ მოუსვენა და კაცი გაუგზავნა დაშლილიყვნენ, რაზედაც შეკრებილთ უპასუხეს, ვიდრე წერილებს არ დავწერთ კოვალენსკისა და ლაზარევთან, არ დავიშლებითო.

კრების მეთაურები მეორე დღეს კელმეჩურზე გადავიდნენ, ქიზიყის სოფლებიდან ხალხი მიიწვიეს, ჯერ იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცეს დამერე მეფე იულონის მეფობაზე. ესევე მოიქცნენ გავაზ—ყვარელში, შიგნით კახეთში და სხვაგან. ერთის სიტყვით, საქმის მეთაურნი აღარა ხუმრობდნენ, მთელს კახეთს ჩამოუარეს და ყველას, ვინც გავლენიანი და წარჩინებული იყო, თხოვნაზე ხელი მოაწერინეს. თხოვნაზედ ხელი უწერიათ: ნეკრესის მიტროპოლიტს ამბროსის,[12]) ზარჯაშნის ეპისკოპოსს ნიკოლოზს, თელავის სასულიერო სემინარიის რექტორს ალექსანდრეს, არქიმანდრიტს ბესარიონს და იოაკიმეს, დეკანოზს ინაშვილს, ელეფთერიძეს და სხვათა. აგრეთვე 69 თავადს: ჩოლოყაშვილთ, ჯორჯაძეთ, ანდრონიკაშვილთ, ქობულაშვილთ და სხვათა.

ჩვენის წერილის საგანს არ შეადგენს ამ ამბოხების დაწვრილებით აღწერა, ამიტომ აქ გაკვრით მოვიხსენიებთ, რომ ამის გამო ცხრა კაცი დააპატიმრეს, დანარჩენთ კი მოასწრეს დამალვა. განრისხებულმა კნორინგმა, მიახწია თუ არა ამ ამბავმა ჩრდილოეთ კავკასიამდე, მაშინვე მოწოდება გამოსცა, რომელიც მთელ საქართველოს მოჰფინა და რომელშიაც ასეთს მუქარას უთვლიდა კახელებს: „მეამბოხენი დაისჯებიან მთელის სისასტიკით რუსეთის კანონებისა, მათი ადგილ-მამული სახაზინოდ გადავა და ყმები კიდევ სახელმწიფო გლეხებად“. მაგრამ ბოლოს რუსეთის მთავრობა იძულებული იყო, რათა უარესი უკმაყოფილება არ გამოეწვია ხალხში (რადგან შესაძლებელი იყო კახეთში ამოვარდნილი ნაპერწკალი ცეცხლად ქცეულიყო და მთელს ქართლ-კახეთს მოსდებოდა), დაპატიმრებულნი განთავისუფლებინა. შეთქმულებაში მონაწილეობის მიმღებთ ხელწერილი ჩამოართვეს, რომ ამგვარ საქმეს კულავ აღარ ჩაიდენდნენ და წერილი მიაწერინეს ბატონიშვილ იულიონთან, რომ იმპერატორს ერთგულება შევფიცევით და ჩვენი იმედი ნუღარ გექნებათო.

ასე გათავდა კახეთის ამბოხება. თავადიშვილებმა საშინელი ლაჩრობა გამოიჩინეს, დაავიწყდათ ყველაფერი, შერცხვენილნი ტფილისში ჩამოდიოდნენ და ბოდიშს იხდიდნენ მთავრობის წინაშე.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, კახეთის დიდებულთ მიიღეს თუ არა ფიცი იულონის მეფედ არჩევაზედ, მაშინვე კაცები აფრინეს იულონთან—მეფედ აგირჩიეთ და შენც ეცადე დაგვამტკიცონო. როცა გაგზავნილი 12 კაცი მივიდა იმერეთში იულონთან, იულონი, ფარნაოზი და იმერეთის—მეფე სოლომონ მეორე ცხარე მზადებაში იყვნენ. ქართლში ურაცხვს პროკლამაციებს აბნევდნენ, კაცებს უგზავნიდნენ თავად-აზნაურობას და სთხოვდნენ, მათთვის მხარი დაეჭირათ და მიშველებოდნენ. სცდილობდნენ, თვით არაგვის ერისთავებიც რომელნიც რუსეთის პირველ მომხრეებად ითვლებოდნენ, როგორმე თავისკენ გადაებირებინათ, წერილებისა და პროკლამიციების დამტარებლებს მალხაზ ანდრონიკაშვილს, ფირან ჩერქეზიშვილს და ლუარსაბ მაჩაბელს დაბარებული ჰქონდათ ქსნისა და ლიახვის ოსების აჯანყება და ბელათის ციხის დაჭერა.—სოლომან მეორე კიდევ დიდ ჯარს აგროვებდა მთელს იმერეთში; ახალციხის ფაშას ხომ დამახების მეტი არ უნდოდა, დაიწყებდნენ თუ არა ბატონიშვილები მოქმედებას, ისიც მაშინვე შემოესეოდა ქართლსა. ამ დროსთვის ლეკების დიდმა რაზმმა უკვე განვლო ქართლი და ახალციხეში ფაშას იახლა.

საქმე ასე იყო დაწყობილი: იმერეთის ჯარი ორად იყო გაყოფილი, ნახევარი სოლომონ ფეფესთან იდგა ს. ქალაში, ნახევარი კიდევ რაჭაში. ბატონიშვილი იულონი და და ფარნაოზი რაჭის გზით ოსეთსა და ქართლში უნდა გადასულიყვნენ, აეჯანყებინათ ოსები, მიემხროთ ქართლის გავლენიანი თავადიშვილები და როცა ბატონიშვილნი ამის მოგვარებას მოახერხებდნენ, მაშინ იმერეთის მეფე სოლომონი და ახალციხის ფაშა ლეკებით შემოესეოდნენ ქართლს. ასეთს ფაცი-ფუცში იყვნენ ბატონიშვილები, როცა კახეთიდან მოსულმა 12 კაცმა სასიხარულო ამბავი მოუტანეს და იმათაც დრო აღარ დაახანეს: ორივე ბატონიშვილი მეორე დღეს მალხაზ ანდრონიკაშვილსა და ელიზბარ ერისთავთან ერთად, 100 კაცის თანხლებით ლომნის გზით გადავიდა ოსეთში, გაიარა სოფელი წორბისე და გომართაში მივიდა. აქედან ხელახლად გაუგზავნეს კაცები თავადიშვილებს და სთხოვეს დახმარება

მაგრამ რუსეთის მხედრობა ყოველსავე მათ ფეხის გადადგმას თვალ-ყურს ადევნებდა. ჯერ ბატონიშვილებს არც კი შემოედგათ ფეხი ქართლში, რომ ლაზარევს მოახსენეს, ბატონიშვილები პროკლამაციებსავრცელებდნენ საქართველოში, ხალხს აჯანყებენ და თავისაკენ იბირებენო. ლაზარევმა მაშინვე სასტიკი ბრძანება გასცა, რომ ვისაც კი პროკლამაცია ან წერილი უნახოთ, მაშინვე წაართვით და თუ თვით ბატონიშვილი იულონი შემოსდგამს ფეხს ქართლში, გაბაწრეთ და ტფილისში ჩამომიყვანევითო. ეჭვი არ იყო, რომ ბატონიშვილების გომართაში მისვლას, მაშინვე გაიგებდა რუსის ჯარის სარდალი, რომელსაც ყოველგან ჯარი და ჯაშუშები ჰყავდა ქსელივით გა-

[10] „Закавказье“, Дубровина, გვ. 42.

[11]) Акть, Археогр. комм. т. I. გვ. 387.

[12]) ამბროსი ნეკრესელი ცნობილი იყო, როგორც საუკეთესო მქადაგებელი. მისი ქადაგებანი გამოცემულია ალექ. ეპისკოპოსის მიერ ცალკე წიგნად.

უველა ამის შემდეგ მკითხველისთვის აშკარაა, რომ ქართველ სტუდენტთა მომავალი კავშირი რეალური და დროს შესაფერი ორგანიზაციაა. უველა, ვინც კი კარგად არის ჩახედული ჩვენის სტ—თბის ცხოვრებაში, დამეთანხმება, რომ არას დროს არა უოფილა ქ. სტუდენტობისთვის გარკვეულ გზის ჩვენება ისე საჭირო, როგორც დღევანდელ „უდროობის" დროს. საჭიროა გაორკეცებული ენერგია და მაშინ კავშირი სარგებლობს მთუტანს როგორც ხალხს, ისე თვით სტუდენტობას. არავის არ უთქვამს, რომ კავშირი „ქართველ ხალხს გაჭირვებიდან გამოიუვანსო".

**გ. დაფქვიაშვილი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული სასულიერო კონცერტი პეტერბურგში.** ამ მოკლე ხანში პეტერბურგში გაიმართება ქართული სასულიერო კონცერტი ბ-ნთ ფოცხვერაშვილის და არხანგელსკის ლოტბარობით. პროგრამა კიდევაც შეუმუშავებით. პირველ განყოფილებაში უნდა ასრულდეს სასულიერო სიმღერები და ჰიმნები, მაგ., „ალილო". „ქონა", „დიდება" და სხვ. მეორე განყოფილებაში—საეკლესიო საგალობლები თავისსავე ჰარმონიაში უცვლელად სამ-ხმაზედ. მესამეში ოთხ ხმაზე სხვა და სხვა ავტორისა, საკონცერტო კომისია მასალის გროვებას შეუდგა და რამდენსამე პირს, ქართველს და არა ქართველებს, კიდევაც გაუგზავნა წერილები. ვისაც სურს, რომ მისი პიესები კონცერტში შეასრულონ, სთხოვენ დაუყოვნებლივ გაჰგზავნონ, რასაც ინებებენ.

ადრესი: С.-Петербургъ, Загородный просп., д. N 4, кв. 16. Александру Ермолаевичу Догонадзе.

—

**წარმოდგენა 3 ენაზე.** დღეს 7 ოქტომბერს, ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება: ჩაროვის რეჟისორობით მოლოროსიულად „ბუვალშჩინა" და „კუმ მიროშნიკ", ქართულად „ჭკუისა მჭირს" და სომხურად „ბებრების დარიგება". დასასრულ, გაიმართება საკონცერტო განყოფილება.

## უცხოეთი

**ინგლისის მეფე და პარტიები.**

ამ დღეებში დეპეშამ ამბავი მოგვიტანა, რომ ინგლისის მეფემ ბალმორალის სასახლეში (შოტლანდიაშია) მიიწვია პირველი მინისტრი ასკიტი. ინგლისურმა პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ მიწვევას და ზევრნაირი მოსაზრება გამოსთქვა მის მნიშვნელობაზე. „დღეს ისეთი ამბავი მოხდა, რომელიც გაუზვიადებლივ შეგვიძლიან სენსაციონურ ამბად ჩავთვალოთო",—ასე დაიწყო თავისი წერილი პირველ მინისტრის მეფესთან წასვლის შესახებ რადიკალურმა გაზ. „დეილი ნიუზ-"მა. გაზეთი მეტად ფრთხილად, თავდაჭერით სწერს მეფის ასეთს მოქმედებაზე, მაინც და მაინც დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას არ აძლევს მის საქმეში ჩარევას, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს, რომ რაც უნდა მცირე იყოს ეს მნიშვნელობა, ინგლისის მთელი ერი გაიგებს აქედან, თუ რამდენად საშიში საფთხე მოელის ინგლისს, თუ რომ ლორდები ნამდვილად გაჰბედვენ კონსტიტუციის დარღვევას და ბიუჯეტის უარყოფას.

ლიბერალურ გაზეთებს იმედი აქვთ, რომ მეფე ბიუჯეტის სასარგებლოდ ჩაერია საქმეში და რომ მისი ჩარევა გამარჯვებით დასრულდება, მაგრამ ამავე დროს ამ გაზეთებს ეშინიანთ, ვაი თუ მინისტრები უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ და მეფის ხათრით მეტი დაუთმონ ლორდებსაო.

კონსერვატიული პრესა ხომ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. იგი რაც კი შეუძლიან ცდილობს ბალმორალის სასახლეში გამართულ მოლაპარაკების მნიშვნელობა დაამციროს და ბეჯითად მოითხოვს კონსტიტუციონურ პრინციპების დაცვას. აი მაგალითად რასა სწერს კონსერვატიული გაზ. „ტაიმზ"-ი, რომელიც წინა დღეებში თხოულობდა ბიუჯეტის უარყოფას:

„ჩვენ არ ვიცით, მეფემ მოინდომა პირველ მინისტრის ნახვა, თუ პირველმა მინისტრმა მეფისა; არც ის ვიცით, რა საგანზე ექნებათ მათ ლაპარაკი. მაგრამ ყოველ გონიერ კაცს მაინც უეჭველად მიაჩნია, რომ რაზედაც უნდა ჰქონდეთ ლაპარაკი, მეფე ჩვეულებისამებრ წესიერადა და კანონიერად მოიქცევა და თავის კონსტიტუციონურ უფლებას არ გადააჭარბებს. ვინც კი ცოტაოდნად მაინც იცის ჩვენი კონსტიტუცია, უეჭველად გაეცინება ათასნაირ გავრცელებულ ჭორზე. გაზეთის აზრით, მეფე არ ჩაერევა პარტიათა ბრძოლაში; მან მხოლოდ იმიტომ დაიბარა პირველი მინისტრი, რომ მისგან სრული ცნობა მიიღოს საქმეთა ეხლანდელ მდგომარეობაზე, ხოლო ეს მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ ადვილი გასაგებია მეფის ასეთი სურვილი.

სანამ პირველი მინისტრი ბალმორალში იყო, პარლამენტში საყურადღებო ამბები მოხდა. დეპუტატთა პალატამ გაათავა საფინანსო კანონ-პროექტის (ბიუჯეტის) მუხლ და მუხლ განხილვა, რასაც მთელი 41 სხდომა მოანდომა. განხილვის დასრულებამდე ფინანსთა მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა მოულოდნელად გამოაცხადა პირველ მინისტრის სახელით, რომ დეპუტატთა პალატის სხდომები ერთი კვირით გადაიდება, რადგან მთავრობას ჰსურს, რომ საფინანსო კანონპროექტის მესამე განხილვა მხოლოდ 5 ოქტომბერს დაიწყოსო. ჰფიქრობენ, რომ მთავრობამ იმიტომ გადასდვა ბიუჯეტის განხილვა, რომ უნდა დრო მოიგოს ბალმორალში დაწყებულ მოლაპარაკების გასათავებლადო. ამ ვადის გადადების წყალობით პალატის სესია ნოემბრის დამდეგს ძლივს დასრულდება.

ამავე დროს საყურადღებო სხდომა მოხდა ლორდთა პალატაშიაც, სადაც დაიწყეს ირლანდიის საადგილ-მამულო კანონპროექტის მუხლ და მუხლ განხილვა. ეს კანონპროექტი სხვათა შორის შეიცავს მრავალს მეტად რთულ მუხლს საფინანსო ოპერაციების შესახებ: როგორ უნდა გამოისყიდონ ირლანდიელებმა მიწის წვრილი ნაჭრები, როგორ ისესხონ ფული ამ საქმისთვის და სხვა... რადგან ეს მუხლები საფინანსო საქმეებს შეეხებიან, ლორდთა პალატას, კონსტიტუციონურ ჩვეულებით, არა ჰქონდა უფლება მათის შესწორებისა, მაგრამ ლორდებმა მაინც მოინდომეს მისი შეცვლა. მაშინ მთავრობის წარმომადგენელმა ლორდ კრიუმ გაბედვით განაცხადა, რომ ლორდებს არა აქვთ უფლება ასეთის შესწორებისაო,—და ლორდებმაც დაუთმეს. კონსერვატორების მეთაურმა ლორდ ლანსდოუნმა პასუხად მხოლოდ ისა სთქვა, რომ ლორდებს აქვთ უფლება თავისი აზრი გამოსთქვან და ითათბირონ მაგ შესწორებაზეო, ესე იგი ლორდთა პალატას მხოლოდ სათათბირო უფლება აქვს საფინანსო საქმეებშიო. მცირე კამათის შემდეგ შეტანილი შესწორება ლორდებმა უკან წაიღეს. ეს, რასაკვირველია, მეტად საგულისხმო ამბავია: იქნება ბიუჯეტის საქმეშიაც ამნაირადვე დასთმონ ლორდებმა.

**ლოიდ ჯორჯის სიტყვა.**

26 სექტემბერს ინგლისის ფინანსთა მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა ქალ. ნიუ-კესტლში სიტყვა წარმოსთქვა ბიუჯეტის თაობაზე. მის სიტყვიდან სჩანს, რომ პირველ მინისტრის თათბირს მეფესთან ნამცეცადაც არ შეუცვლია სამინისტროს საფინანსო პოლიტიკა. ლოიდ ჯორჯი ამტკიცებდა თავის სიტყვაში, რომ მას აქეთ, რაც ბიუჯეტის გულისთვის ბრძოლა დაიწყო, ინგლისის ვაჭრობა და მრეწველობა გაძლიერდა, ფასიან ქაღალდების კურსმა ბირჟაზე აიწია... დაეცა მხოლოდ... ჰერცოგების და ლორდების კურსი. ყოველი ჰერცოგი და ლორდი ინგლისის ერს იმდენადვე უჯდება, როგორც ერთი წყვილი „დრედნოუტი" (უზარმაზარი ჯავშნიანი გემია). დროა ლორდებსაც გავახსენოთ ქისა და გადასახადები მოვუმატოთ. დეპუტატთა პალატაში ლიბერალთა სკამებზეც ბევრი მდიდარი კაცი ზის, მაგრამ ისინი დიდის ხალისით კისრულობენ ახალ მსხვერპლს. იქნება ლორდებმა რევოლიუცია გამოიწვიონო.

დასასრულ, კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია რწმენა, რომ მთავრობა დაიცავს „თავისუფალ ვაჭრობის" პრინციპს, შეამსუბუქებს ხალხის გაჭირვებას, წინ წასწევს საადგილ-მამულო რეფორმას და საშუალებას აღმოაჩენს სოციალურ რეორგანიზაციისთვისო.

**ბირჟის მოღვაწეების პეტიცია.**

სიტის უბნის (ლონდონშია) ბირჟის 6,000 ბირჟის მოღვაწემ პეტიცია წარუდგინეს ლორდთა პალატას, ბირჟის გმირები სთხოვენ ლორდებს. ეცადეთ, რომ მთავრობის საფინანსო კანონპროექტის (ბიუჯეტის) თაობაზე ხალხს დაეკითხნენ და მისი აზრი გაიგონ, ესე იგი ახალი არჩევნები დაანიშვნინეთ, რომ ხალხმა თავისი აზრი გამოსთქვას ბიუჯეტზეო, რადგან ეს ბიუჯეტი ძირს დასცემს ხალხის კეთილ-დღეობას, მრეწველობას, ვაჭრობას და ყოველ კერძო საკუთრებასო.

**ირლანდიის საქმეთა მინისტრის სიტყვა**

ირლანდიის საქმეთა მინისტრმა ბირელმა სიტყვა წარმოსთქვა ქალ. ბრისტოლში და განაცხადა, რომ ირლანდიის საადგილ-მამულო კანონპროექტს, რომელსაც ამ ჟამად ლორდთა პალატა ამახინჯებს, ბიუჯეტზე არა ნაკლები მნიშვნელობა აქვსო. ირლანდიის საქმეთა ეხლანდელბური მართვა წარმოადგენს უაზრო და უსაბუთო დევნას, რომელიც მხოლოდ ხელს უწყობს უწესოებისა და ბოროტმოქმედების გამრავლებასო. დასასრულ ბირელმა სთქვა:

— დადგა დრო,—როდესაც გონივრობა მოითხოვს, რომ ირლანდიას აუცილებლად მიენიჭოს უფლება თითონ აწარმოვოს თავისი საკუთარი საქმეები.

**ბრიანის სიტყვა.**

საფრანგეთის პირველმა მინისტრმა ბრიანმა ქალ. პერიგეში დიდი პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა და თავისი პროგრამა გააცნო ხალხსა. მან აღნიშნა, რომ თავდაპირველად სამი დიდი სოციალური რეფორმა უნდა განხორციელდესო: შემოსავლის დაკვალად გადასახადი, მოხუცებულ მუშების უზრუნველყოფა და მუშების მონაწილეობა წარმოების შემოსავალში.

**ფერერის საქმე.**

განთქმულ ესპანელ მოღვაწის ფერეროს ტრაგიკულმა ბედმა მთელი განათლებული ევროპა და ნამეტნავად ესპანიის მონათესავე ქვეყნები — საფრანგეთი და იტალია აალელვა. როგორც დეპეშამ გვაუწყა, ესპანიის სისხლის მსმელ რეაქციონურ მთავრობას არად ჩაუგდია მთელი განათლებულ ევროპის პროტესტი და ფერერო თოფით დაუხვრეტია.

ფერეროს საქმის გარჩევის დროს სამხედრო სასამართლოს სასაცილოდ აუგდია სამართლის წესები. ამბობენ, რომ სამხედრო სასამართლომ არ ალაპარაკა ფერეროს მოწმებიო, ესპანიის მთავრობის განკარგულებით, დაუჭერიათ „ჰავასის სააგენტოს" დეპეშები ფერეროს გასამართლებაზე.

ფერეროს საქმის გარჩევა თურმე 26 სექტემბერს დაიწყო. საბრალდებლო ოქმში არც ერთი პირდაპირი საბუთი არ იყო მოყვანილი ფერეროს წინააღმდეგ. სხვათა შორის, მოყვანილია ერთის მოწმის ჩვენება, რომელსაც გაეგონა, ვითომ ფერეროს ეთქვა: „თუ საჭირო იქნება, ჩვენ ისე მოვიქცევით, როგორც რუსეთში მოიქცნენო".

რუსულ გაზეთებს ატყობინებენ პარიზიდან: „ფერეროს ქალიშვილმა სთხოვა საფრანგეთის პირველ მინისტრს ბრიანს, მამაჩემი სიკვდილს გადაარჩინეთო. ამავე დროს მან დეპეშა გაუგზავნა ესპანიის მეფეს ალფონსს და მამის პატიება სთხოვა.

თუ ფერეროს სიკვდილით დასჯიან, უთუოდ მთელ ესპანიაში უწესოება მოხდება. ესპანიის მეფესა და პირველ მინისტრს დიდძალი მუქარის წერილი მისდის".

იტალიის სატახტო ქალაქ რომში საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს პროტესტის ნიშნად ფერეროს სიკვდილით დასჯის გამო.

## წერილი რედ. მიმართ

(რაჭა-ლეჩხუმლების საყურადღებოდ)

„დროების" მე-206 ნომერში, ამა წლის 18 სექტემბერს, გამოვაცხადე, რომ ხაზინაში შესატანად სოფელ ჭრებალოში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დაარსებისთვის გვაკლია 51 მანეთი. მას შემდეგ მივიღე ბესო მუსელიანისაგან 1 მან. და თავ. დავით იაშვილისაგან—50 მან. ამ გვარად სულ შესდგა 570 მან., სწორედ ის თანხა, რომელსაც გვთხოვდა მთავრობა ამ საქმისათვის. ეს ფული მთლად შევიტანე ტფ. ხაზინაში და მივიღე კვიტანცია 6 ოქტომბერს № 343.861.

**გრიგოლ დიასამიძე.**

—

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი მისცეთ შემდეგს წერილს.

ორენბურგის გუბ. გადმოსახლებულთა შორის ეს ერთი ხანია გავრცელდა ხმა თითქოს მე „დროების" რედაქციიდან მიმეღოს საზოგადოებაში შეგროვილი ფული პოლიტიკურ გადმოსახლებულთა სასარგებლოდ. რადგან ამ ხმებს ბოლო არ ელება, საჭიროდა ვცნობ გაზეთის საშუალებით განვაცხადო, რომ მე გაზ. „დროებისაგან" არავითარი ფული არ მიმიღია, რასაც ვთხოვ დაადასტუროს თვით „დროების" რედაქციამ. შემოწირულებებს ჩვენ ვღებულობთ შემდეგის ადრესით: Г. Челябинскъ, ред. „Пріуральья", Валеріану Лежава. უნდა აღინიშნოს, თუ ვისთვის იგზავნება ფული. *)

პატივისცემით **ვ. ლეჟავა.**

*) ჩვენ რედაქციას ბ-ნ ლეჟავასთვის ფული არ გაუგზავნია. **რედ.**

—

ბმული. ამიტომ, შემოსდგეს თუ არა ბატონიშვილებმა ფეხი ქართლში, მაშინვე პოდპოლკოვნიკი სიმონოვიჩი დირბიდან წორბისისაკენ გაექანა. ბატონიშვილებს სწორედ ამოსუნთქვაც კი არ დასცალდათ, რომ შეატყობინეს, რუსეთის ჯარი გდევნითო. ბატონიშვილნი იძულებულნი იყვნენ, რათა ხელში არ ჩავარდნოდნენ რუსეთის ჯარს, უკანვე გაბრუნებულიყვნენ და სოფელ ლოპანში, რომელიც ქართლისა და იმერეთის საზღვრებზე მდებარეობს, მოეცადნათ თავადიშვილების პასუხისათვის. მაგრამ აქაც არ დააცადა პოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა: მან ზარბაზნები და სხვა მძიმე იარაღი უკანვე, დირბში, გაგზავნა, ხოლო დანარჩენის ჯარით ლოპანისაკენ გაექანა. ბატონიშვილებმა აქაც თავი მშვიდობით დაახწიეს: ღამე მივიდა ლუარსაბ მაჩაბელი და შეატყობინა რუსეთის ჯარის გამოდგომა. გულგახეთქილი ბატონიშვილები აიყარნენ და ისევ სოფელ ქალას მიატანეს. სიმონოვიჩიც უკან გაბრუნდა, რაკი დარწმუნდა, რომ ბატონიშვილებმა თავს უშველესო. იმერეთის საზღვრის გადალახვა მან ველარ გაბედა, მაგრამ დირბში და სხვაგან, სადაც საჭიროდ დაინახა, ჯარი დასტოვა, რათა ბატონიშვილებისათვის სამუდამოდ ფეხი ამოეკვეთნა.

ასე ჩაიშალა ბატონიშვილების განძრახვა, ვერც ოსების აჯანყება და ვერც ქართველის თავადიშვილების მომხრობა ვერ მოასწრეს და იძულებულნი იყვნენ, იმერეთში ჩაკეტილიყვნენ. უარესად ჩაატარა თავისი მისია ბატონიშვილმა ვახტანგმა: მიუახლოვდა თუ არა გენერალი ტუჩკოვი რუსეთის ჯარით ციხეში გამაგრებულ ბატონიშვილს, იგი მაშინვე ციხის უკანა კარებიდან გაიქცა და ფშავ-ხევსურეთს შეაფარა თავი. მაგრამ ტუჩკოვმა აქაც არ მოასვენა და ვახტანგი იძულებული გახდა, ქალაქში ჩამოსულიყო და ბოდიში მოეხადნა.

ასეთი იყო საქმის მდგომარეობა, როცა იმპერატორმა საჭიროდ დაინახა 8 ენკენისთვეს 1802 წელს კნორინგი გადაეყენებინა და იმის ადგილას პავლე ციციანოვი დაენიშნა. „ჩემდამი მორთმეულ საჩივრებისა და უკმაყოფილებისა გამო საქართველოს გამგე კრონინგზეო,— ნათქვამია უმაღლეს რესკრიპტში,— ვითხოვთ კრონინგს გამგეობიდანო".[13] ნათქვამი არ არის რესკრიპტში, რასაკვირველია, და არც სხვაგან სადმე აქტებში, თუ რას შეეხებოდა ეს საჩივრები, მაგრამ ეჭვი არ არის საჩივრები კნორინგის როლს შეეხებოდა საქართველოს ბედის გადაწყვეტაში. გავიხსენოთ წერილი ბატონიშვილის იოანესი: „ყოველივე საქმე კარგად მიდიოდა, ჩამოვიდა კნორინგი და მოახსენა, ქართველ ხალხს არ უნდა მეფეო და ამის გამო სახელმწიფო საბჭომ დაადგინა მეფობის მოსპობაო". პეტერბურგში მყოფმა ელჩებმაც ხომ მაშინვე იტკიცეს და წინააღმდეგობა განუცხადეს საბჭოს ამ გვარად საქმის გადაწყვეტისათვის, ქართლ-კახეთშიაც ხომ ამის გამო მოხდა ამბოხებები და ბევრი საჩივარი წავიდა კნორინგზედ. ალბად ყველა ამის გამო მოხდა კნორინგის გამგეობიდან გადაყენება. როგორც ვიცით, საქართველოს ბედის გადაწყვეტაში კნორინგს მთავარი როლი ჰქონდა. სახელმწიფო საბჭო იმის მოხსენებას ემყარებოდა და იმის თანახმად გადასწყვიტა საქმე. იმპერატორი დარწმუნდა, რომ კნორინგმა სისწორით არ წარუდგინა საქმის ვითარება და შეცდომაში შეიყვანა ისიცა და საბჭოც. ბოლოს იმპერატორი თითქმის სწუხდა, რათ მოვსპე საქართველოში ავტონომიური მმართველობაო და ერთი ხელობა წერილიც მოსწერა საქართველოს ახალ მთავარგამგედ დანიშნულს ციციანოვს, სასურველად მიმაჩნია საქართველოში ავტონომიურ მმართველობის აღდგენა და ერთ-ერთ ბატონიშვილის გამგედ დანიშვნა და შემატყობინე შენი აზრიო. აქტებში, საუბედუროდ, მოყვანილი არ არის, რა პასუხი გასცა ციციანოვმა და, საზოგადოდ, რა აზრისა იყო იგი საქართველოს ავტონომიის შესახებ.

**ზ. ედილი.**

(შემდეგი იქნება)

13) „Акть Археограф. ком.", т. 2. გვ. 3.


## პოლიკლინიკა

**კერძო ქირურგ. სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1/2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1/2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1/4}$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1/2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—187)

## ფული ეგზავნება

**უკანვე ყველას, ვისაც საქონელი არ მოეწონება.**

**ინგლისური ტრიკო** მკვიდრი, ლამაზი, რბილი მატერია, წმინდა მატყლისა, ორ-არშინიან განისა შემდეგ ფერებისა: შავი, მუქ-ლურჯი, მიხაკის ფერი, მწვანე, რუხი; სადა ან ახალ სახებიანი, ლამ. უჯრებიანი, გძელ ხაზიანი ან წინწკლებიანი. ნაჭერი $4^{1/2}$ არშ. მამაკაცის სრულ კასტიუმისთვის 5 მ., 6 მ., 7 მ. 50 კ., 8 მ. 40 კაპ., 10 მ. 50 კ, 12 მ. 75 კ. და 15 მ. 50 კ. ვინც სამ ან მეტ ნაჭერს დაიბარებს, მას მიეცემა სარჩული **უფასოდ. მანდილოსნის „კონფეციონი"** ქალის სრულ ტანისამოსისთვის, ყოველგვარ ფერისა, სადა ან უჯრ. ან წინწკლებიანი. 8 არშ. 4 მ., 5 მ. 60 კ., 6 მ. 75 კ. და 8 მ. 50 კ. **„ტიროლის ტილო"** ყოველგვარ საცვალისთვის, კარგი, სიგ. 20 ვერ., ნაჭერი 24 არშ. 5 მ. 50 კ., 6 მ., 6 მ. 75 კ. გაგზავნა ფირმის ხარჯით. ფასდადებით მანეთზე 2 კ. ემატება ციმბირში გაგზავნის დროს. ადრესი: Фабрика Т—ва Суконно-шерстяной мануфактуры, г. Лодзь N 18.

(3—ფ.—2)

◀ მ კ ე რ ვ ა ლ ი ▶

## ნ. თ. ჩეკმარიოვი

ძმ. ძეგველოვების თევზის სავაჭროს მაღლა მიღებულია დიდძალი მატერია ინგლისისა და რუსეთის საუკეთესო ფაბრიკებისა, შეიძლება შეკვეთა სამხედრო, სტატსკურ, სამოქალაქო უწყებათა და მოწაფეთა ტანისამოსზე. შეკვეთილს ჩემის ზედამხედველობით ამზადებენ მაღაზიები: 1) პუშკინის ქ. № 9. და მიხეილის პროსპექტი № 131.

(5—5) პატივისცემით **ნ. თ. ჩეკმარიოვი.**




## ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. კერვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—б—76)




რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე.**